



კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 8 თებერვლის #0121-01 დადგენილებით

სტრუქტურა:

1. მოკლე ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ
2. უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები
3. სტრატეგიული განვითარების შემუშავების მეთოდოლოგია
4. SWOT ანალიზი
5. სტრატეგიული განვითარების მიმართულებები
 - 5.1 უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარება
 - 5.2 უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია
 - 5.3 პერსონალის გაძლიერება
 - 5.4 უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის გაძლიერება
 - 5.5 სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაძლიერება
 - 5.6 საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა და სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერება
6. სტრატეგიული განვითარების მონიტორინგი და შეფასება
7. სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა 2021-2023

1. მოკლე ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ

შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი დაარსდა 2019 წელს. უნივერსიტეტის დაარსების იდეა იყო მსოფლიოში სამედიცინო განათლების მსურველი გაზრდილი კონტიგენტისთვის კიდევ ერთი ახალი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა საერთაშორისო ბაზარზე.

უნივერსიტეტის დაფუძნების იდეა გაამყარა საერთაშორისო თანამშრომლობის ძლიერმა კომპონენტმა - ამერიკული მხარის თანადგომამ, აქტიურმა მხარდაჭერამ და სურვილმა, მონაწილეობა მიეღო ქართულ სივრცეში საერთაშორისო სტანდარტების მქონე სასწავლო კერის შექმნაში, რომელსაც მჭიდრო კავშირი იქნებოდა ამერიკულ სამედიცინო განათლებასა და ჯანდაცვის სისტემასთან. ემორის სამედიცინო სკოლა აშშ-ის ერთ-ერთი ძლიერი სამედიცინო კერაა, რომელიც ცნობილია როგორც არაერთი ინოვაციური სწავლების დამნერგავი, ამავდროულად, იგი მსოფლიოს ერთ-ერთი ძლიერი კვლევითი ინსტიტუციაა. შესაბამისად, ჩვენი თანამშრომლობა მოიაზრებს როგორც საგანმანათლებლო, ისე კვლევითი მიმართულებით მუშაობას.

უნივერსიტეტის დაფუძნების იდეა ასევე უკავშირდება შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდს, რომელიც სამედიცინო განათლების სფეროში დიდი გამოცდილებით და ცოდნით გამოირჩევა. უნივერსიტეტის პარტნიორია ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისთვის“, რომელსაც საქართველოში უამრავი პროექტი აქვს განხორციელებული სამედიცინო განათლების სფეროში. ორგანიზაცია წლებია, ეხმარება ქართულ მხარეს ჯანდაცვის სფეროში პრაქტიკული ხასიათის ტრენინგების განხორციელებაში ჯანდაცვის სხვადასხვა რგოლის თანამშრომელთა, ასევე, პროფესორ-მასწავლებლების გადამზადებაში, მნიშვნელოვანია მისი როლი სამედიცინო კლინიკებსა და საგანმანათლებლო დაწესებულების სამედიცინო ინვენტარით მომარაგების კუთხითაც.

უნივერსიტეტი ამერიკელ პარტნიორებთან თანამშრომლობით მომავალში გეგმავს:

- ✓ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების/სასწავლო კურსების შემუშავებას;
- ✓ აკადემიური პერსონალის გადამზადებასა და პრფესიულ გადამზადებას
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასებას;
- ✓ სწავლების ახალი/თანამედროვე მეთოდების/მეთოდოლოგიის დანერგვას;
- ✓ თეორიული სწავლების კლინიკური ასპექტებით ინტეგრაციის მაქსიმალურ მხარდაჭერას;

- ✓ კლინიკური კლერკშიფების აშშ-ს კლინიკურ ბაზებზე გავლის შესაძლებლობის გაფართოებას/მხარდაჭერას;
- ✓ გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვისაც.

დრამატიკულად გვწამს, რომ გაცვლით პროგრამებში სტუდენტების ჩართვა არა მხოლოდ ამაღლებს მათ მოტივაციას, არამედ ხელს უწყობს მათ აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის სურვილის ზრდას, ამაღლებს მათ თვითშეფასებას, ხელს უწყობს მათში პროფესიონალიზმის გააზრებას. აკადემიური, მოწვეული, და ადმინისტრაციული პერსონალისთვის კი, ამავედროულად, პროფესიული და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა.

ზემოხსენებული ფაქტორები, თავის მხრივ, უნივერსიტეტის ინსტიტუციურ გაძლიერებას, აკადემიური პროგრამების შემდგომ განვითარება-დახვეწას შეუწყობს ხელს.

უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობის არეალი ჯანდაცვის სფეროთი განისაზღვრა - პირველ ეტაპზე მედიცინისა და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების იმპლემენტაციით.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარება მომავალი შვიდი წლის მანძილზე გულისხმობს ლოკალურ სივრცეში აქტიურად დამკვიდრებას, გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში გასვლას და შესაბამისი ბაზრებისათვის ისეთი კადრების - კონკურენტუნარიანი სპეციალისტების, მომავალი წარმატებული ლიდერების შეთავაზებას, რომლებიც მზად იქნებიან მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და მედიცინის სფეროში ახალი გამოწვევების მიღებისათვის.

2. უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები

უნივერსიტეტის გამოწვევაა, გახდეს ერთ-ერთი წამყვანი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულება, ეროვნულ დონეზე, რომელიც შეძლებს შესთავაზოს სტუდენტებს სრულყოფილი, ინოვაციური და საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტების შესაბამისი განათლება.

მისია:

უმაღლესი განათლების საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა ჯანდაცვის სფეროში, ხელი შეუწყოს სტუდენტების კონკურენტუნარიან პროფესიონალებად ჩამოყალიბებას, რომელთაც უწყვეტი განათლების პრინციპებისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების იდეის გაზიარებით შეეძლებათ საზოგადოების სამსახურში ყოფნა ადამიანის ფიზიკურ, მენტალურ და სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვის, ეთიკურ-ზნეობრივი პრინციპების დაცვისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების აღიარების გზით.

ღირებულებები:

- სტუდენტების პერსონალური და ინტელექტუალური განვითარება
- ცოდნის ძიება
- აკადემიური, პროფესიული და კვლევითი თანამშრომლობის ინტერნაციონალიზაცია
- ინკლუზიურობა და სამართლიანობა
- მრავალფეროვნება და საგანმანათლებლო შესაძლებლობები
- აკადემიური თავისუფლება
- ეთიკური პრინციპების დაცვა
- სოციალური პასუხისმგებლობა
- პასუხისმგებლიანი მართვა

ხედვა:

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხედვაა, 2027 წელს წარმოადგენდეს საერთაშორისოდ აღიარებულ, ადგილობრივ და საერთაშორისო სივრცეში კონკურენტუნარიანი და საიმედო პარტნიორის რეპუტაციის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჯანდაცვის სფეროსა და უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, რომელიც მუდმივი განვითარება-სრულყოფის გზით ორიენტირებული იქნება საერთაშორისო მოთხოვნებთან ჰარმონიზებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე; კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე; საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული პროცესების ინტერნაციონალიზაციასა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს განვითარებაზე სამეცნიერო, კულტურული, შემოქმედებითი და შემეცნებითი განვითარების გზით;

3. სტრატეგიული განვითარების შემუშავების მეთოდოლოგია

2020 წლის თებერვალში უნივერსიტეტში ეროვნული ავტორიზაცია/აკრედიტაციის და საერთაშორისო აკრედიტაციისათვის მოსამზადებლად შეიქმნა შიდასაუნივერსიტეტო საორგანიზაციო კომისია - სამუშაო ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არის უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შემუშავება. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი. მასში მონაწილეობენ უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურის წარმომადგენლები და დაინტერესებული მხარეები. სამუშაო ჯგუფი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების საწყის ეტაპზე სამუშაო ჯგუფის მიერ სპეციალურად შემუშავებული იქნა კითხვარი, რომელიც გადაეცა სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის მომზადებაში ჩართულ პირებს.

კითხვარის ნიმუში, ძირითადად, SWOT ანალიზს ეფუძნებოდა: ერთი მხრივ, მოიცავდა არსებული სიტუაციის შეფასებას, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას და, ვინაიდან უნივერსიტეტი ახალი დაარსებულია, ძირითადი აქცენტი გაკეთდა გაუმჯობესებისა და განვითარების გზაზე. კითხვარი მოიცავდა შემდეგ შეკითხვებს:

1. თქვენი საქმიანობის კონკრეტულად რომელი აქტივობების დანერგვა და გაუმჯობესებაა საჭირო?
2. როგორ გესახებათ ამ აქტივობების მაქსიმალურად ეფექტიანად დანერგვისა და გაუმჯობესების გზები?
3. რა ხელისშემშლელ გარემოებებს ხედავთ თქვენს ამჟამინდელ აქტივობებში და რა არის მათი მიზეზები?
4. როგორ ფიქრობთ ამ ხელისშემშლელი გარემოებების აღმოფხვრას და თავიდან აცილებას თქვენი სტრუქტურული ერთეულის განვითარებისათვის მაქსიმალური შედეგის მისაღწევად?
5. რა მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსი გესაჭიროებათ ამისთვის?

სამუშაო ჯგუფის უნივერსიტეტის რექტორთან და ფოკუს-ჯგუფებთან რეგულარული შეხვედრების შედეგად შემუშავდა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის ჩარჩო და სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განსახილველად კვლავ დაეგზავნა უნივერსიტეტის სტრუქტურებს.

საბოლოო განხილვის და შესაბამისი ცვლილებების შემდეგ, 2020 წლის ნოემბერში სტრატეგიული გეგმა განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები:

- I. უნივერსიტეტის საქმიანობაზე მოქმედი გარე და შიდა ფაქტორების შეფასება;
 - ყველა სტრუქტურისა და დაინტერესებული მხარის გამოკითხვა არსებული მდგომარეობისა და დასახული ამოცანების შესახებ;
- II. უნივერსიტეტის SWOT ანალიზი, საჭიროებათა შეფასება;
- III. უნივერსიტეტის მისიის, ხედვის და, არსებული ფინანსური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შვიდწლიანი განვითარების გეგმის შედგენა პრიორიტეტების განსაზღვრითა და ძირითადი მიზნების ჩამოყალიბებით;
- IV. დასახული მიზნების მისაღწევად მომდევნო სამი წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების და ამისთვის შესაბამისი ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების შეფასება (სამწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენა);
- V. სამოქმედო გეგმის რეგულარული მონიტორინგის (წლის ბოლოს აკადემიურ საბჭოზე წარდგენით) განხორციელება უნივერსიტეტის მონიტორინგის ჯგუფის მიერ PDCA (Plan-Do-Check-Act, დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე) მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. SWOT ანალიზი

S - ძლიერი მხარეები

- დამფუძნებელთა შორის ძლიერი საერთაშორისო (ამერიკული) ორგანიზაციის არსებობა, რომელსაც საქართველოს ჯანდაცვის და სამედიცინო განათლების სფეროში მოღვაწეობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს
- დიდი საგანმანათლებლო და კვლევითი გამოცდილების მქონე ძლიერი საერთაშორისო კოლაბორატორი ამერიკული მხარის სახით (ემორის უნივერსიტეტი)
- უნივერსიტეტის მმართველობით ორგანოში (აკადემიურ საბჭოში) უცხოელი პერსონალის მონაწილეობა
- საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული საერთაშორისო პარტნიორების სახით
- საერთაშორისო სტუდენტების მხრიდან მოთხოვნიდი ინგლისურენოვანი პროგრამები
- სტუდენტთა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის ამერიკის შეერთებულ შტატებში მივლინების პერმანენტული შესაძლებლობა

W - სუსტი მხარეები

- საზოგადოებაში უნივერსიტეტის ცნობადობის დეფიციტი
- თანამშრომლებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობათა მკვეთრი გამოიჯვრის დეფიციტი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის მცირე კონტიგენტი
- ამ ეტაპზე კორპორატიული ღირებულებების არასაკმარისად დამკვიდრება
- საკუთარი საუნივერსიტეტო კლინიკის არქონა
- საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობის სტატუსის არქონა მათ შორის, სამედიცინო განათლების მიმართულებით
- სტუდენტების, დამსაქმებლების და აკადემიური პერსონალის მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი უნივერსიტეტის მართვასა და სასწავლო პროცესის დაგეგმვაში
- ფინანსური შემოსავლების ნაკლებობა
- ამ ეტაპზე უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევების განხორციელების დაბალი მაჩვენებელი (მათ შორის ერთობლივი კვლევების მიმართულებით)

- მაღალკვალიფიციური, მოტივირებული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი;
- უსაფრთხო გარემო, რეკრეაციის ზონები პერსონალისა და სტუდენტებისთვის;
- განვითარებული და ინოვაციური ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- თანამედროვე ბიბლიოთეკა და საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- სამედიცინო განათლების სფეროში ჩართული მაღალკვალიფიციური ადმინისტრაციული პერსონალი;
- კლინიკური სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მემორანდუმების არსებობა ლოკალურ და საერთაშორისო დონეზე; თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან.

O - შესაძლებლობები

- უნივერსიტეტის პოპულარიზაციის გაძლიერება ქვეყანაში და საერთაშორისო სივრცეში და საერთაშორისო რეიტინგის ამაღლება
- უნივერსიტეტის მმართველი და ადმინისტრაციული რგოლების ორგანიზაციული დიფერენცირება და შემდგომი დახვეწა და განვითარება საერთაშორისო პარტნიორების

- საზოგადოებრივ საქმიანობაში კონტრიბუციის ნაკლებობა

შენიშვნა: ამ ეტაპზე სუსტი მხარეების არსებობა დაკავშირებულია ძირითადად იმასთან რომ უნივერსიტეტი ახალი დაარსებულია და ჯერ-ჯერობით არც ერთი პროგრამას არ ხორციელდება

T - საფრთხეები

- კონკურენცია: საგანმანათლებლო ბაზარზე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების მზარდი რაოდენობა
- მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის და წარმატებული კურსდამთავრებულების საზღვარგარეთ მიგრაცია
- ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები
- განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ხშირი ცვლილებები
- საიმიგრაციო პოლიტიკის ცვლილებები

- საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებით
- დამატებით გარე ფინანსური წყაროების მოძიება ლოკალურ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის გზით
- კორპორაციული კულტურის განვითარება კორპორაციული ღირებულებების დანერგვა-გაღმავების გზით
- კლინიკური სწავლების გაძლიერება საქართველოში არსებულ კლინიკებთან მაღალი ხარისხის თანამშრომლობის უზრუნველყოფით
- საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა და მათი გეოგრაფიის გაფართოება
- სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერა საერთაშორისო პარტნიორების მოძიებით, საუნივერსიტეტო კადრების სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებით და კვლევის დაფინანსების პერმანენტული ზრდით
- ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება
- საგანმანათლებლო პროგრამების ადგილობრივი/საერთაშორისო აკრედიტაციის მიღება;
- სტუდენტთა და პერსონალის ამერიკულ და საერთოევროპულ სივრცეში ინტეგრირება აკადემიურ და კვლევით გაცვლით პროგრამებში (Erasmus+, Jane Monnet, Marie Curie, Mevlana, სხვ) აქტიური ჩართულობით
- დამსაქმებლებთან ურთიერთობების მეტი ინტენსიფიკაცია
- ინფლაციის მაღალი დონე
- ქვეყნის და გლობალურ გარემოებებსა და პოლიტიკაზე დამოკიდებულება
- საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის დეფიციტი
- ავტორიზაციის გარეშე თანამშრომლობის გაფართოების პრობლემები
- ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესის ხანგრძლივი ეტაპი

- ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის მოზიდვა
- ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება
- დისტანციური განათლების ფორმებისა და პროგრამების შემუშავება
- სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების, სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება, მოწყვლადი ჯგუფების სტუდენტთათვის განათლების მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- საზოგადოებრივ საქმიანობაში უნივერსიტეტის კონტრიბუციის გაძლიერება

5. სტრატეგიული განვითარების მიმართულებები

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიმართულებები გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან და ხედვიდან. SWOT ანალიზის და იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო უნივერსიტეტი პირველად შემოდის საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, გამოიკვეთა მომავალი შვიდი წლის მანძილზე თავისი საქმიანობის შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

5.1 უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარება

შპს. კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება ინსტიტუციური განვითარებაა. საქართველოს განათლების სივრცეში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, რომელიც ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესის ხანგრძლივ მიმდინარეობას, კონკურენტულ გარემოს, ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ნდობის ნაკლებობას უკავშირდება, - ინსტიტუციური გაძლიერება და შესაძლებლობების განვითარება მნიშვნელოვანი ინვესტიცია იქნება უნივერსიტეტის წარმატების მისაღწევად.

უნივერსიტეტი მომავალში საკუთარ თავს ხედავს, როგორც თანამედროვე დასავლური ღირებულებების და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე საგანმანათლებლო კერას, რისთვისაც საჭიროა უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარების ქმედითი ხელშეწყობა, მისი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, მართვის პროცესებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება.

აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის ინსტიტუციური განვითარების ფარგლებში უნივერსიტეტის უახლოესი ამოცანაა ავტორიზაციის გავლა და მედიცინისა და

სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამების აკრედიტაცია, რაც მას საშუალებას მისცემს, გაძლიერდეს კადრებით, ინოვაციური პროექტებით და განვითარებაზე ორიენტირებული გახადოს მისი საქმიანობა.

ინსტიტუციური განვითარების კუთხით უნივერსიტეტის ამოცანებია, ასევე:

ორგანიზაციული სრულყოფა: რაც მოიცავს როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურის (სტრუქტურული ერთეულების) ფორმირებას და დახვეწას, კომპეტენტური კადრების მოზიდვას, ასევე, უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას.

ინფრასტრუქტურული გაძლიერება, რომელიც უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული ფართის განვითარებას და მომავალში საკუთრებაში არსებული მინიმუმ 1000 სტუდენტზე მორგებული და სათანადოდ აღჭურვილი, შენობის აშენებას/შეძენას გულისხმობს.

საერთაშორისო აღიარება და სტუდენტების მოზიდვა: უნივერსიტეტი შვიდი წლის განმავლობაში 600 სტუდენტის მიღებას გეგმავს, რაც წლის განმავლობაში 100-110 სტუდენტს გულისხმობს. პირველ წელს უნივერსიტეტი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესს დაუთმობს. უნივერსიტეტის მდგრადი განვითარების და საერთაშორისო ელემენტების სიძლიერის ფარგლებში უზრუნველყოფს საერთაშორისო სტუდენტების უნივერსიტეტში მოზიდვას.

თანამედროვე ციფრული სისტემის განვითარება: უნივერსიტეტი გეგმავს თანამედროვე ვებ-გვერდის ამუშავებას, რომელიც მისი სავიზიტო ბარათი და საზოგადოებასთან კომუნიკაციის საშუალება იქნება. ინსტიტუციური განვითარების ფარგლებში დაინერგება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ელექტრონული სისტემა, რომელიც მუდმივად განვითარდება და მთელ სასწავლო პროცესს ონლაინ სივრცეში მოუყრის თავს. მმართველობითი გადაწყვეტილებების სრული დიჯიტალიზაციაც უნივერსიტეტის საქმიანობის პრიორიტეტებში შედის.

კლინიკური თანამშრომლობის გაძლიერება: უნივერსიტეტის ამოცანაა შვიდი წლის განმავლობაში საკუთარი სტუდენტებისათვის კლინიკური საგნების გავლისთვის საჭირო მრავალმხრივი შესაძლებლობების მეოწნე, მულტიპროფილური პარტნიორული ბაზის უზრუნველყოფა, რაც უზრუნველყოფილი იქნება

საქართველოსა და საერთაშორისო წარმატებულ კლინიკურ დაწესებულებებთან საუკეთესო პარტნიორობით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის პროფილური მიმართულებით კლინიკურ ბაზებთან წვდომას, რისთვისაც სპეციალური მემომრანდუმები გაფორმდება.

ფაკულტეტები და პროგრამები: უნივერსიტეტის ამოცანაა, გააძლიეროს ჯანდაცვის მიმართულებით საგანმანათლებლო საქმიანობა, რისთვისაც გეგმავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის, საექთნო, და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებასა და დანერგვას. უნივერსიტეტის შვიდწლიანი განვითარების ფარგლებში პროგრამული სპექტრის განვითარება, სხვა შიდა ფაქტორებთან ერთად, რა თქმა უნდა, უკავშირდება პარტნიორი ამერიკული მხარის ინტერესებისა და მხარდაჭერის არეალსაც. ამჟამად უნივერსიტეტში არსებობს მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტი ერთსაფეხურიანი პროგრამების განხორციელების მიზნით. ახალი პროგრამების შემუშავება და დანერგვა დაკავშირებული იქნება უნივერსიტეტში ახალი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის/ფაკულტეტის შექმნასთან.

ფინანსური მდგრადობა: ფინანსური მდგრადობა უნივერსიტეტის მომავალი სიძლიერის და მდგრადი განვითარების გარანტიაა. დამფუძნებლების გადაწყვეტილებითა და მცდელობით, უნივერსიტეტში უზრუნველყოფილი იქნება ინვესტიცია, რომელიც სტუდენტების მიღებამდე უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და პერსონალის გაძლიერებას, ამასთანავე, დამფუძნებლების ფინანსური კონტრიბუცია იქნება ერთ-ერთი გარანტი სტუდენტების მიღების შემდეგაც. უცხოენოვანი პროგრამების ამოქმედება და სტუდენტების მიღება უნივერსიტეტს მდგრად ფინანსურ ავტონომიას მისცემს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი გეგმავს დამატებითი სახსრების მოძიებას შემოწირულობებით, საერთაშორისო პროექტებით, გრანტებით, ა.შ., რასაც ხელს შეუწყობს სამედიცინო სფეროში არსებული საერთაშორისო პარტნიორობა, მათ შორის, დამფუძნებლად ამერიკული ორგანიზაციის არსებობა.

ხარისხის სისტემის დანერგვა: უნივერსიტეტის მართვა და სასწავლო პროცესის განხორციელება თანამედროვე ხარისხის მართვის კონცეფციით განხორციელდება, რაც გულისხმობს მონაცემების ანალიზზე დაფუძნებული ხარისხის კულტურის

დანერგვას. სასწავლო პროცესის, მმართველობითი პროცესის, ბიზნეს-პროცესების შეფასება, პრობლემების იდენტიფიცირება, განვითარების მიდგომების დაგეგმვა არის უნივერსიტეტის საქმიანობის მთავარი ქვაკუთხედი.

სტრატეგიული მიმართულება 1. უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარება;

	ამოცანები	აქტივობები	ინდიკატორები
1.1	უნივერსიტეტის ავტორიზაცია	საავტორიზაციო განაცხადის მომზადება და წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ავტორიზაციისთვის ვიზიტისთვის მომზადება, დოკუმენტების სრულყოფა.	ავტორიზებული დაწესებულება
1.2	უნივერსიტეტის მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია-საერთაშორისო აკრედიტაციის მიღება	სააკრედიტაციო განაცხადის მომზადება და წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციის ვიზიტისთვის მომზადება, დოკუმენტების სრულყოფა.	აკრედიტებული პროგრამა
1.3	უნივერსიტეტის სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია	სააკრედიტაციო განაცხადის მომზადება და წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციის ვიზიტისთვის	აკრედიტებული პროგრამა

		მომზადება, დოკუმენტების სრულყოფა.	
1.4	ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა	• უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისობის უზრუნველყოფა და დახვეწა უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან მოქმედი ანგარიშვალდებულების სისტემით • სტრუქტურული ერთეულების ორიენტირებულობა სამოქმედო გეგმით დასახული მიზნების მაქსიმალურად შესრულებაზე, ყოველწლიური წერილობითი თვითშეფასება გასაუმჯობესებელი მიმართულებების დასახვით. • ახალი სტრუქტურული ერთეულების დამატება	• განახლებული სტრუქტურა • ყოველწლიური თვითშეფასების დოკუმენტი
1.5	უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ფორმირება და გამლიერება. მმართველობით რგოლში არჩევითობის უზრუნველყოფა.	• უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სრულად დაკომპლექტება. • უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულ არჩევით პოზიციებზე პერსონალის დასაქმება გამჭვირვალე არჩევნების გზით	• გაფორმებული ხელშეკრულებები • ჩატარებული არჩევნები
1.6	მმართველობის ეფექტური სისტემის დანერგვა	მმართველობის სისტემის მოქნილი და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; მართვის ეფექტურობის შეფასების სისტემის დანერგვა და მუდმივი განვითარება.	• შეფასების ანგარიშები • კმაყოფილების კვლევები • ჩატარებული შეხვედრების ოქმები

1.7	საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის სრულყოფა	• საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებთან და მისიით ნაკისრ ვალდებულებებთან. • არსებული ინფრასტრუქტურის მუდმივად განახლება - საგანმანათლებლო კვლევითი და სხვა დაგეგმილი საქმიანობიდან გამომდინარე • ათას სტუდენტზე გათვლილი საკუთარი შენობის არსებობა	• ინფრასტრუქტურა სრულყოფილია და გამართული • ახალი შენობა უნივერსიტეტის საკუთრებაშია
1.8	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება, საქმიანობის უწყვეტობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა	• უნივერსიტეტის საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფა ბიზნესუწყვეტობის გეგმის საფუძველზე • ბიბლიოთეკის აღჭურვა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რესურსით, ყოველწლიურად რესურსებით გამდიდრება, სერვისების გაუმჯობესება, დამატებით საერთაშორისო ელექტრონულ რესურსებით უზრუნველყოფა • ელექტრონული ბაზების გამოყენების სტატისტიკის პოზიტიური დინამიკას უზრუნველყოფა • სასწავლო/დამხმარე ფართების სტუდენტზე ორიენტირება და სათანადოდ მოწყობის უზრუნველყოფა • ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა; მათი ადმინისტრირების გაუმჯობესება	• წლიური აგარიშები • შესყიდვების დოკუმენტები • მემომარანდუმები • სტატისტიკური მონაცემები • კმაყოფილების კვლევები • ფინანსური ანგარიში

		• მოძიებული დაფინანსების დამატებითი წყაროები, საუნივერსიტეტო რესურსების კომერციალიზაცია	
1.9	ეთიკური და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	• უნივერსიტეტის გარემოსა და მართვის სტილის სრული შესაბამისობა სტრატეგიაში გაცხადებულ ღირებულებებთან • სტუდენტთა და პერსონალის პირველადი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა • ეთიკის, კეთილსინდისიერების, აკადემიური თავისუფლების წესების დარღვევებზე რეაგირების მექანიზმების განხორციელება • პლაგიატის საწინააღმდეგო პროცედურებისა და მექანიზმების დანერგვა, დარღვევებზე რეაგირების ღონისძიებების გატარება • უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფა	• სტუდენტთა, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები • მემორანდუმი სადაზღვეო კომპანიასთან • კმაყოფილების კვლევები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიში • უნივერსიტეტის დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილებები • სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურის წლიური ანგარიში
1.10	სტუდენტთა კონტიგენტის შევსება	• აგენტებთან ფორმდება ხელშეკრულებები სტუდენტების მოზიდვის მიზნით. • ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღების გამოცხადება • განათლების ფორუმებში მონაწილეობა.	• ხელშეკრულებები • უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა
1.12	პროგრამების დამატება	• საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და კანონმდებლობით დადგენილი წესით დამატება.	აკრედიტებული პროგრამა

		• ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მიმართულებით საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და კანონმდებლობით დადგენილი წესით დამატება. • საექთნო განათლების მიმართულებით საბაკალავრო პროგრამების შემუშავება და კანონმდებლობით დადგენილი წესით დამატება.	
1.13	ახალი ფაკულტეტის შექმნა	• მედიცინის ფაკულტეტის შექმნა • ჯანდაცვის ფაკულტეტის შექმნა; • ახალი სასწავლო დეპარტამენტების შექმნა	• ფაკულტეტის დებულებები დამტკიცებულია; • არჩეული აკადემიური პერსონალი
1.14	მართვის ელექტრონული სისტემის დახვეწა	• გამართული საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა • უნივერსიტეტის პერსონალის მართვის ელექტრონული პორტალის შექმნა • ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამის დანერგვა • სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის განახლება	• კმაყოფილების კვლევები • განახლებული ელექტრონული სისტემები
1.15	ხარისხის კულტურის განვითარება	• ხარისხის მართვის სისტემის შესაბამისად განხორციელებული შეფასება • ხარისხის მართვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გამართული სისტემა „ხარისხის მენეჯმენტის ევროპული ფონდის“ EFQM	• განხორციელებული შეფასებები • ყოველწლიური ანგარიშები • ხარისხის სახელმძღვანელო • გარე შეფასებები • თვითშეფასება • მონიტორინგის შედეგები

		მოდელისა და WFME -ის მოთხოვნების გათვალისწინებით; • ხარისხის კულტურის გაუმჯობესებაზე მიმართული სახელმძღვანელოს შექმნა • ინსტიტუციური თვითშეფასების პერიოდული ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიში; • ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული გარე დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა; • საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, სასწავლო პროცესის გარე შეფასება უცხოელი პარტნიორების მონაწილეობით; • საუნივერსიტეტო საქმიანობის მონიტორინგი ხარისხის მართვის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;	
1.16	კლინიკური თანამშრომლობის გაძლიერება	• ადგილობრივ და ქვეყნის გარეთ დამატებითი კლინიკური ბაზების მოძიება, მათთან მემორანდუმების გაფორმება, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას სტუდენტების რაოდენობის, მენტორების კლინიკური სწავლების ვალდებულებების შესახებ.	• გაფორმებული მემორანდუმები • გაცვლით პროგრამებში მონაწილეთა სტატისტიკა • კმაყოფილების კვლევები • დაფინანსებული პროექტები • კლინიკებში სტუდენტების განაწილება

		• სტუდენტების აქტიური ჩართულობა კლინიკურ საქმიანობაში სწავლების ადრეული ეტაპიდან როგორც კურიკულუმის ფარგლებში, ისე მის გარეთ • სტუდენტების კლინიკური აქტივობა რეგიონულ კლინიკებში (საზაფხულო პრაქტიკის ან სხვა სახით) • სტუდენტების კლინიკური გაცვლითი პროგრამები - წარმატებული სტუდენტების კლინიკური სტაჟირება აშშ-სა და ევროპის საუნივერსიტეტო კლინიკებში • გაცვლითი პროგრამები კლინიკური აკადემიური პერსონალისთვის აშშ-სა და ევროპის საუნივერსიტეტო კლინიკებში • უნივერსიტეტის მხარდაჭერით (მათ შორის, ფინანსური) კლინიკის პერსონალის სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში/კონგრესებში/ა. შ. მონაწილეობა	• კონფერენციებში და სხვა სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის სტატისტიკა
--	--	---	---

5.2 უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიითაა გაცხადებული და უნივერსიტეტის განვითარების პრიორიტეტული სტრატეგიული ამოცანაა.

საერთაშორისო დონეზე ცნობადობის გაზრდა: უნივერსიტეტის ამოცანაა, უნივერსიტეტის განთავსება მსოფლიო სამედიცინო სკოლების დირექტორიაში, ამასთანავე, უნივერსიტეტი გეგმავს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ასოციაციების წევრობას, როგორცაა AMEE - ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაცია, AMSE - ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაცია, ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია - EUA, ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია - EMSA, მედიკოს სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია - IFMSA და სხვ.

საერთაშორისო სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვა და მობილობის ხელშეწყობა: უნივერსიტეტი გეგმავს, ადგილობრივ სტუდენტებთან ერთად მოიზიდოს საერთაშორისო სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული კონტინგენტი. მნიშვნელოვანი ამოცანაა საერთაშორისო სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრაცია.

უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს პერსონალის და სტუდენტების მობილობას, რაც გაზრდის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას.

უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში უცხოელი პროფესორების ჩართვას, რაც საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის, თანამედროვე ცოდნის გაზიარების მყარი შესაძლებლობაა.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება: უნივერსიტეტი გეგმავს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში ჩართვას, რომელიც გააძლიერებს როგორც კვლევით, ასევე, სასწავლო პოტენციალს. ჯანდაცვისა და სამედიცინო განათლების სფერო ხასიათდება მაღალი ინტერნაციონალიზაციის ხარისხით. ევროკავშირისა და ამერიკის

შეერთებული შტატების მიერ დაფინანსებულ პროექტებში ჩართულობა უნივერსიტეტში ამ მიმართულებას მნიშვნელოვნად გააძლიერებს.

მსოფლიო პანდემიამ აჩვენა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია როგორც ქართველ, აგრეთვე უცხოელ ექიმებთან მუდმივი კომუნიკაცია. უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს უცხოელი ექიმების მოწვევას და მასტერკლასების სისტემატურად ორგანიზებას უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.

უნივერსიტეტის პერსონალის სიძლიერისა და გამოცდილების გათვალისწინებით, უნივერსიტეტს შეუძლია სამედიცინო განათლების ცოდნის აკუმულირება და მისი პროფესიული წრეებისთვის გაზიარება საერთაშორისო ფორუმებისა და კონფერენციების ორგანიზებისა და მათ მუშაობაში აქტიური მონაწილეობის გზით.

ქართველ ექიმთა საერთაშორისო ასოციაციასთან მჭიდრო თანამშრომლობა. ვინაიდან აღნიშნულ ასოციაციაში გაერთაინებული არიან არა მხოლოდ საქართველოში მოღვაწე, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა წარმევან ქვეყანაში მომუშავე ექიმები და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები, მათი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება როგორც კლინიკურ სფეროში, ასევე სამედიცინო განათლების კუთხით მნიშვნელოვანად წაადგება უნივერსიტეტს. გარდა ამისა, ასოციაცია მზად არის, განახორციელოს პროგრამების ან მისი კომპონენტების გარე შეფასებაც.

თანამშრომლობა ემორის უნივერსიტეტთან: უნივერსიტეტის ინსტიტუციური გაძლიერების ფარგლებში მნიშვნელოვანია საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერება, მათ შორის უმთავრესი იქნება ამერიკულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, ემორის ინსტიტუტთან ინსტიტუციური თანამშრომლობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებს, ერთობლივ კვლევებს, პერსონალისა და სტუდენტების გაცვლას.

სტრატეგიული მიმართულება 2 - უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია

	ამოცანები	აქტივობები	ინდიკატორები
2.1	საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერება;	- დამატებით საერთაშორისო პარტნიორობის მოძიება და მათთან მემორანდუმების გაფორმება - პარტნიორობთან შეხვედრების ორგანიზება, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით.	- მემორანდუმები საერთაშორისო პარტნიორობთან - ჩატარებული შეხვედრების დამადასტურებელი მასალა (ოქმი, ფოტო და ვიდეო მასალა და სხვ)
2.2	უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდა:	- მსოფლიო სამედიცინო სკოლების დირექტორიაში უნივერსიტეტის განთავსება - სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ასოციაციების წევრობა და ამ ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში აქტიური ჩართულობა (მაგალითად, როგორიცაა AMEE - ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაცია, AMSE - ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაცია, ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია - EUA, ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია - EMSA, მედიკოს სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია - IFMSA და სხვა)	- სხვადასხვა ორგანიზაციის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი - გადაწყვეტილება დირექტორიაში განთავსების შესახებ - ფორუმებსა და გამოფენებში მონაწილეობის დამადასტურებელი (წერილობით, ფოტო ვიდეო) მასალა

		• უნივერსიტეტის აქტიური მონაწილეობა ქვეყნის შიგნით დაგეგმილ საგანმანათლებლო/სამედიცინო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებში • ჯანდაცვის და სამედიცინო განათლების მიმართულებით გამართულ საერთაშორისო ფორუმებსა და გამოფენებში მონაწილეობა	
2.3	საერთაშორისო სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული კონტინგენტის მოზიდვა და ინტეგრაცია	• საერთაშორისო მომზიდვ კომპანიებთან მდგრადი თანამშრომლობა • აპლიკანტებისთვის გაცნობითი ღონისძიებების გამართვა (მაგ, ღია კარის დღეები) • უნივერსიტეტი ორიენტირებულია თითოეულ სტუდენტზე - ინდივიდუალური აპლიკანტებისთვის სერვისების დანერგვა • სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამებში საერთაშორისო სტუდენტთა ჩართულობისთვის არსებული ეფექტური მექანიზმის ფუნქციონირება • სხვადასხვა უნივერსიტეტთან საგანმანათლებლო/სამეცნიერო/კლინიკურ სფეროში თანამშრომლობის მიზნით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება • აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა	• გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები • ჩატარებული შეხვედრები • წლიური ანგარიშები • მობილობის მაჩვენებლები • ჩატარებული ტრენინგები • კმაყოფილების კვლევები

		• ახალგაზრდა კადრების (მათ შორის, ახალგაზრდა მკვლევარების) მოზიდვა და მხარდაჭერა • საერთაშორისო აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში • უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ან მოწვეული ექსპერტების მიერ ტრენინგების ჩატარება სასწავლო და სამეცნიერო სფეროში • საერთაშორისო პარტნიორებთან, სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ერთობლივი კონფერენციები/ტრენინგები/და გეგმვა და ჩატარება	
2.4	სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული კონტინგენტის საერთაშორისო მობილობა	• ქვეყანაში მოქმედ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა (მაგ. Erasmus+, მარი კიური (Marie Curie), ჟან მონე (Jean Monnet), Horizon 2020, სხვ). • მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან კოოპერაცია საგანმანათლებლო/სამეცნიერო	• გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა სტატისტიკა • მემორანდუმები • ერთობლივი პროექტები უცხოელ პარტნიორებთან • ჩატარებული შეხვედრები • უცხოელი პერსონალის რაოდენობა • ინგლისურის კურსებზე მსმენელთა რაოდენობა

		რო /კლინიკური თანამშრომლობისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელების თაობაზე; • საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების თაობაზე პერსონალის და სტუდენტების პერმანენტული ინფორმირება • საერთაშორისო გამოცდილების მექანე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოზიდვა • საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული კონტინგენტისათვის ინგლისური ენის შესწავლის კურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა • უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული კონტინგენტის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა	• მოზიდული ახალი კადრები
2.5	საერთაშორისო სტუდენტების	▪ საერთაშორისო სტუდენტების საჭიროებებზე	▪ კმაყოფილების კვლევა ▪ ონლაინ აპლიკაცია ▪ მემორანდუმები

	ინტეგრაციის ხელშეწყობა	მაქსიმალურად მორგებული სერვისების დანერგვა - ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და კონსულტაციის მექანიზმების დანერგვა - საერთაშორისო სტუდენტებისათვის ქართული ენის სწავლებისთვის სპეციალური პროგრამის შემუშავება - ონლაინ პლატფორმის / მობილური აპლიკაციის შემუშავება ქართული ენის სწავლებისათვის - საერთაშორისო სამთავრობო, არასამთავრობო და პროფესიულ დაწესებულებებთან კოოპერაცია და ერთობლივი პროექტები განხორციელება - საერთაშორისო სტუდენტთა მობილობის მხარდაჭერა	- ერთობლივი პროექტები - მობილობის მაჩვენებლები
2.6	ემორის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გაძლიერება	- პერსონალის გაცვლის ხელშეწყობა - სტუდენტების გაცვლის ხელშეწყობა - ერთობლივ პროექტების განმახორციელებელი ჯგუფის ჩამოყალიბება	- პერსონალის გაცვლის მაჩვენებელი - სტუდენტების გაცვლის მაჩვენებელი - ერთობლივი პროექტები - ანგარიშები

		- ჩატარებული ერთობლივი ღონისძიებები (მაგ. სტუდენტური კონფერენცია) - ერთობლივი კვლევითი პროექტები	
2.7	სტუდენტებისთვის მასტერკლასების ჩატარება	სტუდენტებისთვის აქტუალური მასტერკლასების ორგანიზება, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო გამოცდილების მქონე, მათ შორის უცხოელი ექიმების ჩართულობით	- მასტერკლასებზე დამსწრეთა რაოდენობა - კმაყოფილების კვლევა
2.8	საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა	ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის და საერთაშორისო ორგანიზაციების საგრანტო პროექტებში აქტიური ჩართულობა	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა
2.9	საერთაშორისო კონფერენციებისა და ვორქშოპების ორგანიზება სამედიცინო განათლების სფეროში	- შიდასაუნივერსიტეტო ვორქშოპების ორგანიზება სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის; - ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება სამედიცინო განათლების სფეროში.	- ჩატარებული ვორქშოპები - კონფერენციაში მონაწილეთა მაჩვენებელი - ანგარიშები - კონფერენციის მასალები

5.3 პერსონალის გაძლიერება

პერსონალის განვითარება ეფუძნება ჩართულობაზე ორიენტირებული მენეჯმენტის მიდგომას და ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში დასაქმებულთა აქტიურ მონაწილეობას, უნივერსიტეტი აქცენტს აკეთებს დაწესებულებაში პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, შეფასების, განვითარების, ინტერნაციონალიზაციის, წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, პერსონალთან კომუნიკაციის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად საჭირო მექანიზმების აუცილებლობაზე.

უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს კვალიფიციური კადრის მოზიდვაზე. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო გამოცდილებას, მათი საგანმანათლებლო და კლინიკური გამოცდილების მაჩვენებელს. უნივერსიტეტი სტუდენტების რაოდენობის ზრდას უპასუხებს პერსონალის რაოდენობის შესაბამისი ზრდით, ადგილობრივი და საერთაშორისო კონტაქტებისა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების აქტიური გამოყენებით.

პერსონალთან სტრატეგიული კომუნიკაცია: უნივერსიტეტის საქმიანობაში პერსონალის ჩართულობის ზრდა მათთან აქტიურ კომუნიკაციას მოითხოვს. ამ მიზნით უნივერსიტეტი ყველა თანამშრომელს უქმნის კორპორატიულ მეილებს საუნივერსიტეტო სიახლეების, კონკურსების, პროექტების და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მუდმივი მიწოდების უზრუნველყოფისათვის. უნივერსიტეტი კორპორატიული კულტურის დამკვიდრების მიზნით ერთ-ერთ აქტივობად მოიაზრებს კორპორატიული აქტივობების ორგანიზებას, რაც გაზრდის გუნდურ თვითშეგნებას და აამაღლებს პერსონალის მოტივაციას უნივერსიტეტის ცხოვრებაში მონაწილეობისათვის. უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს, ასევე, პერსონალის შეხვედრების ორგანიზებას კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად.

პერსონალის მდგრადობა: საგანმანათლებლო საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია პერსონალის მდგრადობის უზრუნველყოფა, რაც მომავალში უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი წინაპირობაა. საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული კონკურენციის, გრძელვადიანად დაგეგმვის აუცილებლობის გათვალისწინებით, რთული, თუმცა აუცილებელია პერსონალის მდგრადობა. ამ მიზნით უნივერსიტეტის პოლიტიკა ემყარება: უნივერსიტეტის მკაფიო სახელფასო პოლიტიკას; მოქნილ შრომით კონტრაქტებს; განვითარებაზე ორიენტირებულ საუნივერსიტეტო გარემოს; საერთაშორისო თანამშრომლობების გათვალისწინებით, უცხოელ პარტნიორების დახმარებით პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას; უნივერსიტეტში აფილირების წესის დანერგვასა და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირებას.

პერსონალის შეფასება: უნივერსიტეტი გეგმავს პერსონალის შეფასების სისტემის დანერგვას, რისი მთავარი მიზანიც არის სწორედ პერსონალის მხარდაჭერა და მის განვითარებაზე ზრუნვა საუნივერსიტეტო წარმატების მისაღწევად. პერსონალის პერიოდული შეფასების შედეგების გაანალიზების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით დაიგეგმება შესაბამისი აქტივობები.

უნივერსიტეტი გეგმავს დიფერენცირებას, ერთი მხრივ, აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და მეორე მხრივ, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასებას შორის: აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება დაეფუძნება სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასებას, გათვალისწინებული იქნება საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი წვლილიც.

პერსონალის განვითარება: პერსონალის შეფასებისას/თვითშეფასებისას მიღებული მონაცემების გაანალიზებით უნივერსიტეტი გეგმავს ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით სხვადასხვა აქტივობას, რითაც უზრუნველყოფს პერსონალისთვის მოტივაციის შექმნას განვითარების კუთხით.

უნივერსიტეტი ცდილობს, შეუქმნას პერსონალს საუკეთესო სამუშაო გარემო, რისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი სახელფასო პოლიტიკაა. უნივერსიტეტი დანერგავს სახელფასო პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს კვალიფიკაციის

შესაბამისი ანაზღაურებისა და საბონუსე სისტემის დანერგვას, რომელიც კავშირშია უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობის განვითარებასთან. აკადემიურ პერსონალთან მიმართებით უნივერსიტეტი დანერგავს ოთხეტაპიან სახელფასო პოლიტიკას: პირველი ეტაპი - აკადემიური პერსონალის სახელფასო ანაზღაურება განისაზღვრება საუნივერსიტეტო საათების ჩატარების შესაბამისად; მეორე ეტაპი - აფილირებული პერსონალისთვის მუდმივი, 12-თვიანი ანაზღაურების შეთავაზება; მესამე ეტაპი - ინდივიდუალური სახელშეკრულებო სისტემის შემოღება, დატვირთულობის გათვალისწინებით; მეოთხე ეტაპი - ყველა აკადემიური პერსონალისთვის მუდმივი 12-თვიანი ანაზღაურების შეთავაზება;

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აფილირების წესი, ნერგავს აფილირების პოლიტიკას და ეტაპობრივად უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სრულ აფილირებას.

უნივერსიტეტი წახალისებს პერსონალის საერთაშორისო მობილობას, პერსონალის საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს, დანერგავს განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგებს, მასტერკლასებს, ვორკშოპებს.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუდმივ გადამზადებას სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში.

პერსონალის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობისათვის საჭიროა მათი წარმოდგენა საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო დონეზე. ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიურ საბჭოში უზრუნველყოფილია აკადემიური პერსონალის წარმომადგენლობა არჩევნების გზით.

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პერსონალის ჩართულობის მოტივირებისათვის უნივერსიტეტი დანერგავს აკადემიური პერსონალის წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმებს.

**სტრატეგიული მიმართულება 3 - პერსონალის
გამდიერება**

	ამოცანები	აქტივობები	ინდიკატორები
3.1	ახალი პერსონალის მოზიდვა	- ახალი კადრების მოზიდვის მიზნით აკადემიური პერსონალის კონკურსების ჩატარება - კვალიფიციური ადმინისტრაციული პერსონალით უნივერსიტეტის ადამიანური რესურსის გაძლიერება - მაღალკვალიფიციური მოწვეული პერსონალით უნივერსიტეტის გაძლიერება - უცხოელი პერსონალის მოზიდვა	- ჩატარებული კონკურსები - გაფორმებული ხელშეკრულებები - პერსონალის რაოდენობის მაჩვენებელი - უცხოელი პერსონალის რაოდენობის მაჩვენებელი - კმაყოფილების კვლევა
3.2	პერსონალთან სტრატეგიული კომუნიკაცია	- კორპორატიული მეილებით კომუნიკაციის დანერგვა - Team building-ებისა და workshop-ების განხორციელება არანაკლებ წელიწადში ერთხელ - პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფა აკადემიურ და ფაკულტეტის საბჭოს სხდომებში - აკადემიური პერსონალისთვის ერთიანი ელექტრონული ქსელის ჩამოყალიბება	- ჩატარებული შეხვედრები - აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოს ოქმები - ანგარიშები - ელექტრონული პლატფორმა აკადემიური პერსონალისთვის - კმაყოფილების კვლევები

		- პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო აქტივობებში - პერსონალის მუდმივი უკუკავშირი გამოკითხვების მეშვეობით მიმართული უნივერსიტეტის მართვითი რგოლების მუშაობისა და სასწავლო პროცესის წარმართვის გაუმჯობესებისთვის	
3.3	პერსონალის გაძლიერება	- უწყვეტი განათლების ცენტრის შექმნა - ტრენინგების/მოკლევადიანი გადამზადების კურსების/ვორქშოპების დაგეგმვა - ჩატარებულ აქტივობებში საუნივერსიტეტო საზოგადოების მაღალი ჩართულობის მიღწევა - სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში მოწვეული და აკადემიური პერსონალის გადამზადება - განვითარებაზე ორიენტირებული სემინარების, ტრენინგების ორგანიზება - გაცვლითი პროგრამების უზრუნველყოფა	- უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება - ჩატარებული შეხვედრები, ტრენინგები, ვორქშოპები, სემინარები - ლონისძინებებში ჩართულთა მაჩვენებელი - სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში გადამზადებულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი - კმაყოფილების კვლევები

3.4	პერსონალის შეფასება	- პერსონალის შეფასების წესის დანერგვა - პერსონალის შეფასების ჩატარება - შეფასების შედეგების გაანალიზება და შესაბამისი აქტივობების განხორციელება	- შეფასების ფორმები და კრიტერიუმები - სტატისტიკურად დამუშავებული შეფასებები - ანგარიშები - განხორციელებული აქტივობები
3.5	სახელფასო პოლიტიკის დანერგვა	- სახელფასო და საბონუსე სისტემის დანერგვა - აკადემიური პერსონალის ხელფასების ოთხდონიანი ეტაპის განხორციელება	- გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები - კმაყოფილებების კვლევები - ფინანსური ანგარიშები
3.6	აფილირების პოლიტიკის დანერგვა	- აფილირებული პერსონალის რაოდენობის ზრდა - აფილირებული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობა	- აფილირებული პერსონალის რაოდენობის მაჩვენებელი - ანგარიშები - ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასება - პუბლიკაციები, სტატიები, კონფერენციებში მონაწილეობა - რაოდენობრივი მაჩვენებლები
3.7	პერსონალის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.	- პერსონალის მონაწილეობა აკადემიურ და ფაკულტეტის საბჭოების სხდომაში - პერსონალის ჩართულობის უზურნველყოფა პროგრამების შექმნისა და განვითარების პროცესში	- აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები - ანგარიშები

3.8	პერსონალის წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა	პერსონალის წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობის საუნივერსიტეტო წესის დანერგვა	- კმაყოფილების კვლევები - რაოდენობრივი მაჩვენებლები
3.9	პერსონალურ განვითარებაზე ზრუნვა და სოციალური პასუხისმგებლობა	- პერსონალისათვის სადაზღვეო პაკეტის შეთავაზება - ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა	- კმაყოფილების კვლევები - მემორანდუმი სადაზღვეო კომპანიებთან - მემორანდუმი შესაბამისი სერვისების გაწევაზე.

5.4 უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის გაძლიერება

შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის კვლევითი საქმიანობა და მისი გაძლიერება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. კვლევითი სტრატეგიის მიზანია, უნივერსიტეტმა განსაზღვროს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული მიდგომები, შეიქმნას კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი შიდა პროცედურები, შეიქმნას აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისთვის საჭირო გარემო. უნივერსიტეტი გეგმავს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობასა და მათი დაინტერესებას კვლევით პროექტებში მონაწილეობისათვის. მნიშვნელოვანი ფაქტორია ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორობთან თანამშრომლობის გაძლიერება საუკეთესო კვლევითი პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება: მიუხედავად იმისა, რომ კენ ვოლკერის უნივერსიტეტი სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსით სარგებლობს, კვლევითი მიმართულების გაძლიერება მისთვის პრიორიტეტულია. სწორედ ამ მიზნით უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კვლევის მხარდამჭერი ორგანიზაციული სტრუქტურა - სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახური, აღნიშნული სამსახურის კოორდინაციით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო განსაზღვრავს უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტებს. სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნება არსებული კვლევითი პოტენციალი. უნივერსიტეტს კვლევების განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სამედიცინო კვლევით ბაზებთან, ორგანიზაციებთან, ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან - მომავალში კი გეგმავს ამ არეალის გაფართოებას. უნივერსიტეტის საქმიანობისთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ასევე კვლევის ინტერნაციონალიზაცია.

სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურის გაძლიერების ხელშეწყობისათვის უნივერსიტეტი გეგმავს საკონსულტაციო საბჭოს ჩამოყალიბებას, რომლის შემადგენლობაშიც მოიაზრება საერთაშორისო გამოცდილების მქონე რამდენიმე გამოცდილი მკვლევარი.

ამასთანავე იგეგმება კვლევითი ცენტრის შექმნა, რომელიც სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას განახორციელებს. კვლევითი ცენტრის ჩამოყალიბება და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები დაკავშირებული იქნება უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებთან.

კვლევების ინფორმაციული უზრუნველყოფის დანერგვა: ამ მიზნით უნივერსიტეტი გეგმავს ინტენსიურ საქმიანობას აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ფონდების მუშაობის სპეციფიკისა და საკონკურსო პირობების გასაცნობად. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალის პერმანენტულ ინფორმირებას. ასევე სხვადასხვა მიმართულების ტრენინგების ორგანიზებას, საგრანტო განაცხადების შევსების საკითხში პერსონალის მხარდაჭერას, საკონსულტაციო შეხვედრებს.

კვლევის დაფინანსება: უნივერსიტეტი დანერგავს კვლევის დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიან შიდა პროცედურებს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად. უნივერსიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილია მზარდი ფინანსური რესურსი კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად, სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების დასაფინანსებლად, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებისადმი მიკუთვნებულ წყაროებში მათი სამეცნიერო მნიშვნელობის შესაბამისად (მაგ, საერთაშორისო იმპაქტფაქტორიან, საქართველოში რეფერირებულ ჟურნალებში ნაშრომის გამოქვეყნება, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებში საგრანტო პროექტის წარდგენა და სხვ); უნივერსიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები შიდასაუნივერსიტეტო გრანტებისათვის;

სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და აკრედიტაციისთვის ზრუნვა: უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს სამაგისტრო პროგრამების შემუშავებას ახალგაზრდა კადრების კვლევით საქმიანობაში მოზიდვისათვის, რაც გულისხმობს სამაგისტრო პროგრამების სტუდენტების ჩართვას უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობაში და

მათი ინიციატივების ეფექტურ მხარდაჭერას. უნივერსიტეტი მოიზიდავს საერთაშორისო პარტნიორებს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების შემუშავების მიზნით. უნივერსიტეტის ამოცანა იქნება სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის მიღება.

პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა: კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ობიექტურ განხორციელებას აკადემიური თავისუფლების ფარგლებში. უნივერსიტეტი გეგმავს პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურების და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დანერგვას. მაღალი აკადემიური სტანდარტების დანერგვა და პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების კულტურის დამკვიდრება უნივერსიტეტის პრიორიტეტია.

სტრატეგიული მიმართულება 4 - უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის გაძლიერება;

	ამოცანები	აქტივობები	ინდიკატორები
4.1	კვლევის პრიორიტეტების განსაზღვრა	- უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის შეფასება - ახალი კვლევითი პრიორიტეტების დასახვა	- ხელშეკრულებები - აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებები
4.2	პარტნიორობის გაძლიერება	- უცხოურ უნივერსიტეტებთან მემორანდუმების გაფორმება - უცხოურ და ადგილობრივ კლინიკებთან მემორანდუმების გაფორმება - მემორანდუმები კვლევის დამგეგმავ და განმახორციელებელ	- მემორანდუმები - ანგარიშები - კვლევითი პროექტების რაოდენობა

		სხვადასხვა ორგანიზაციასთან საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართულობა	
4.3	კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი შიდა პროცედურების დანერგვა	- პერსონალის ინფორმირება კვლევის დაფინანსების პროცედურების შესახებ - შიდასაუნივერსიტეტო გრანტების პერიოდული გამოცხადება - კვლევითი პროექტების შედგენისათვის ტრენინგების ორგანიზება	- დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები - ჩატარებული შეხვედრები - ანგარიშები
4.4	პერსონალის გაძლიერება კვლევით პროექტებში ჩართვის მიზნით	- აკადემიური პერსონალისათვის ტრენინგების და შეხვედრების ორგანიზება, კვლევითი პოტენციალის გაზრდის მიზნით - საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებში ჩართვისათვის პერსონალის ხელშეწყობა - სამეცნიერო ფორუმებში, კონფერენციებში, ა.შ მონაწილეობის მხარდაჭერა - სამეცნიერო აქტივობების (მაგ. პუბლიკაციების მაღალრეიტინგულ ჟურნალებში დაბეჭდვის) ფინანსური მხარდაჭერა	- ჩატარებული ტრენინგები - ანგარიშები - კმაყოფილების კვლევა - რაოდენობრივი მაჩვენებლები (სტატიები, კოფერენციები, დაფინანსებული პროექტები და სხვა)
4.5	სამაგისტრო პროგრამების	სამაგისტრო პროგრამების შემუშავება	აკრედიტებული პროგრამები

	შემუშავება და აკრედიტაციისთვის ზრუნვა	საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მიმართულებით - ერთობლივი სამაგისტრო პროგრამაზე მუშაობა - სამეცნიერო - კვლევითი ნაშრომის შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა სამაგისტრო პროგრამებში	აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმები
4.6	პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა	- საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკის დოკუმენტის გაცნობა და უნივერსიტეტის საქმიანობაში მისი დანერგვა - აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის წახალისება აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებში - ანტიპლაგიატის პროგრამის შეძენა და დანერგვა - პლაგიატზე რეაგირების მექანიზმების ამუშავება	- ჩატარებული შეხვედრები - ჩატარებული ტრენინგები - პლაგიატზე შეფასებული ნაშრომების რაოდენობა - პლაგიატზე რეაგირების მაჩვენებელი - კმაყოფილების კვლევები - ხელშეკრულება
4.7	კვლევითი ცენტრის დაარსება	- კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცება - კვლევითი ცენტრის სამოქმედო გეგმის შემუშავება - კვლევითი ცენტრის პროექტების დაგეგმვა და განხორციელება	- კვლევითი ცენტრის დებულება - კვლევითი ცენტრის სამოქმედო გეგმა - ანგარიშები - გამოქვეყნებული მონოგრაფიების/თარგმანებ

			ი/ნაშრომების/სტატიების/სახელმძღვანელოები
4.8	საკონსულტაციოს საბჭოს შექმნა	- საკონსულტაციო საბჭოს ფორმირება - საკონსულტაციო საბჭოს აქტივობების ხელშეწყობა - საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინება და კვლევით საქმიანობაში დანერგვა	- საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრების ოქმები - ანგარიშები

5.5 სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაძლიერება

უნივერსიტეტი გეგმავს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებაზე მუდმივ ზრუნვას. საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში სასწავლო პროცესის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტი ხელს უწყობს პროგრამების ინტეგრაციის ხარისხის ამაღლებას, კლინიკური სწავლების გაძლიერებას, სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას, სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების და ინოვაციური პროდუქტების დანერგვას, თანამედროვე ლიტერატურით მუდმივ განახლებას.

უნივერსიტეტში შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, დაგეგმილია მისი შემდგომი გაუმჯობესება იმპლემენტაციის პროცესში მიღებული უკუკავშირისა და ანალიზის საფუძველზე.

სწავლა-სწავლების პროცესის ცვლილება გაუმჯობესების მიზნით ეფუძნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოებული მონიტორინგის, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით შიდა და გარე შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციების ანალიზს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ასევე, აწარმოებს სასწავლო პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლების, კლინიკების, პერსონალის,

სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პარტნიორების) გამოკითხვას, მათი საჭიროებების ანალიზს და მიღებულ შედეგებს ითვალისწინებს პროგრამების განვითარებისთვის;

სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტი ზრუნავს კვალიფიციური პერსონალის მოზიდვასა და მათ პროფესიულ განვითარებაზე; ხელს უწყობს თანამედროვე სწავლებისა და შეფასების მეთოდების დანერგვას; საუნივერსიტეტო სივრცეში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, აღმოფხვრისა და პრევენციის ეფექტური ღონისძიებების განხორციელებას სწავლების ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;

უნივერსიტეტი იზიარებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისას (მათ შორის ემორის უნივერსიტეტთან თანამშრომლობითა და კლინიკური სწავლების გამოცდილების მიღებით სხვადასხვა კლინიკებიდან).

უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერმანენტულ გადამზადებას სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში.

სტრატეგიული მიმართულება 5 - სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაძლიერება;

	ამოცანები	აქტივობები	ინდიკატორები
5.1	სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების და ინოვაციური	- თანამედროვე ელექტრონული პროგრამების, ინვენტარის, საბიბლიოთეკო რესურსების შეძენა - სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული	- შესყიდვის დოკუმენტები - გახლებული ინვენტარი - კმაყოფილების კვლევები - განახლებული პროგრამა

	პროდუქტების დანერგვა	პროგრამის პერიოდული განახლება	
5.2	განახლებული საგანმანათლებლო პროგრამები	- პროგრამის და სილაბუსების პერმანენტული განახლება არსებული მონაცემების ანალიზის და თანამედროვე საგანმანათლებლო და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის მარეგულირებელი დოკუმენტების (მაგ. დარგობრივი მახასიათებლის, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტების) შესაბამისად. - სილაბუსებში გათვალისწინებული სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, მათ შორის, მორგებული დისტანციურ სწავლებაზე	განახლებული პროგრამები და სილაბუსები
5.3	სტუდენტების საჭიროებების კვლევა	- კითხვარების მომზადება - პერიოდული (ყოველსემესტრული) შეფასების ჩატარება	- კითხვარები - ჩატარებული შეფასებები - ანგარიშები

		- ჩატარებული შეფასებების ანალიზი (კმაყოფილების კვლევა) - გამოვლენილი საჭიროების მიხედვით აქტივობების განხორციელება	
5.4	დამსაქმებლების საჭიროებების გამოკვლევა	- კითხვარების მომზადება - პერიოდული (ყოველსემესტრული) შეფასების ჩატარება - ჩატარებული შეფასებების ანალიზი (კმაყოფილების კვლევა) - გამოვლენილი საჭიროების მიხედვით აქტივობების განხორციელება	- კითხვარები - ჩატარებული კვლევები - ანგარიშები
5.5	პერსონალის საჭიროებების კვლევა	- კითხვარების მომზადება - პერიოდული (ყოველსემესტრული) შეფასების ჩატარება - ჩატარებული შეფასებების ანალიზი (კმაყოფილების კვლევა) - გამოვლენილი საჭიროების მიხედვით აქტივობების განხორციელება	- კითხვარები - ჩატარებული კვლევები - ანგარიშები
5.6	სწავლის შედეგების შეფასების სისტემის დანერგვა	- სწავლის შედეგების დოკუმენტის შემუშავება - შეფასების ანალიზის შედეგად მიღებული რეკომენდაციები, მათი	- სწავლის შედეგების დოკუმენტი - ანგარიშები

		გათვალისწინებისა და განხორციელებისთვის აქტივობების დაგეგმვა; მიღებული რეკომენდაციების შედეგად ცვლილებების განხორციელება	
5.7	სწავლებისა და შეფასების მეთოდებში აკადემიური პერსონალის გადამზადება	- სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებსა და ვორქშოპებში მონაწილეობის ხელშეწყობა - აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადება	- აქტივობებში (ტრენინგები, შეხვედრები) მონაწილეობის მაჩვენებელი - კმაყოფილების კვლევები
5.8	ხარისხის მექანიზმების დანერგვა, განხორციელება	- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშების მომზადება; - შიდა და გარე შეფასებებით მიღებულ რეკომენდაციებზე რეაგირება, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის შეფასებების ხარისხის	- ჩატარებული შეფასებები - ანგარიშები

		სამსახურის საქმიანობაში ასახვა	
5.9	სწავლების პროცესის ანალიზი	▪ სწავლის პროცესის მონიტორინგი ▪ კმაყოფილების კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება და მის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება და შემდგომი აქტივობების დანერგვა.	▪ ანგარიშები ▪ ოქმები

5.6 საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა და სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერება

შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი აცნობიერებს რა უმაღლესი საგანმანათლებლო უნივერსიტეტის როლს სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით, ასახავს მას სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

უნივერსიტეტის აკადემიური საქმიანობა ემყარება სოციალური პასუხისმგებლობის ღირებულებებსა და პრინციპებს. ამის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტი:

სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს პერსონალისა და სტუდენტების აკადემიურ თავისუფლებას. აფართოებს და მრავალფეროვანს ხდის განათლების ხელმისაწვდომობას მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ვალდებულების შესაბამისად. უნივერსიტეტი მართავს სტუდენტების მიღებას გამჭვირვალე და სამართლიანი გზით, მკაფიო კრიტერიუმების გამოყენებით. აღნიშნული გულისხმობს შერჩევის კრიტერიუმების გამჭვირვალობას, ასევე წარუმატებელი კანდიდატებისთვის გარკვეული სახის უკუკავშირს;

უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს ეთიკური სტანდარტების დაცვას სწავლების პროცესში, გამჭვირვალობას და საქმიანობის პროცესში ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე.

სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპები დაცულია ინსტიტუციური პოლიტიკის, სტრატეგიის, მმართველობითი პროცედურებისა და პროცესების დონეზე. იგი მენეჯმენტის ანგარიშვალდებულებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის განუყოფელი ელემენტია. ამ მიმართულებით, უნივერსიტეტი ხელს უწყობს სოციალური პასუხისმგებლობის კულტურას მაღალი ეთიკური და პროფესიული სტანდარტებისა და მკაფიო პროტოკოლების შექმნა-დანერგვით, რათა თავიდან იქნას აცილებული ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები. ხელს უწყობს პერსონალისა და სტუდენტური გაერთიანებების ჩამოყალიბებას და მათ

მონაწილეობას მმართველობით ორგანოებში გადაწყვეტილების მიღებისას. აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა კამპანიასა და აქტივობაში შესაბამისი სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებისათვის, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვით აქტივობებში.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გარემოს მდგრადობისა და ბიომრავალფეროვნების დაცვას თავისი საქმიანობის ყველა ასპექტში, მათ შორის, მასალის გამოყენების, მომსახურებისა და სხვა სამუშაოების შესრულებისას.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალის, სტუდენტებისა და სხვა პირებისთვის, ისეთი აკადემიური გარემოს შექმნას, სადაც დაცულია თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპები. უნივერსიტეტის პოლიტიკა და პროცედურები მიმართულია დისკრიმინაციისა და პირთა მიმართ გაუმართლებელი განსხვავებული მოპყრობის თავიდან აცილებისაკენ.

უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტულია სოციალურ, კულტურულ და გარემოსდაცვით პროექტებში მონაწილეობა. ამასთან, სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ფარგლებში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პოტენციალიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნება ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა. უნივერსიტეტი გეგმავს აქტიურ მონაწილეობას ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და განვითარების მიზნით, როგორც საკუთარი ინიციატივების ფარგლებში, ასევე ქვეყანაში მოქმედი ჯანდაცვის და სოციალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ აქტივობებში.

სოციალურად პასუხისმგებლიანი თაობის აღზრდისათვის უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალისა და განსაკუთრებით, სტუდენტების საქველმოქმედო და მოხალისეობრივ საქმიანობას. უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ და სტუდენტების აქტიური მონაწილეობით ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი პროფესიონალური კონსულტაციების, საგანმანათლებლო-შემეცნებითი შეხვედრებისა და სხვა აქტივობების განხორციელებით.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ასოციაციებთან აქტიურ თანამშრომლობას, მათთან ერთობლივი პროექტების განხორციელებას.

სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით აღებული ვალდებულებების განხორციელებისას, ფართო საზოგადოებისთვის სასარგებლო შედეგის მისაღწევად, უნივერსიტეტი გეგმავს, იმოქმედოს ეთიკური პრინციპების დაცვით, გამჭვირვალედ, მდგრადად. აღნიშნულის მიღწევა კი გულისხმობს ყოველდღიურ საქმიანობაში სტუდენტების, თანამშრომლების, პარტნიორების, დამსაქმებლებისა და ფართო საზოგადოების მონაწილეობას კონკრეტული აქტივობების შემუშავებასა და განხორციელებაში.

სტრატეგიული მიმართულება 6 - საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა და სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერება

	ამოცანები	აქტივობები	ინდიკატორები
6.1	განათლების ხელმისაწვდომობა, ეთიკური და სამართლიანი გარემო უნივერსიტეტში	- სტუდენტების მიღება გამჭვირვალე კრიტერიუმების შესაბამისად - სტუდენტური მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება - სამართლიანობისა და თანასწორობის დაცვაზე ორიენტირებული რეგულაციების შემუშავება - სტუდენტების საუნივერსიტეტო	- კმაყოფილების კვლევები - პერსონალის მდგრადობა - სტუდენტების მზარდი მაჩვენებელი - რეგულაციები

		ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფა	
6.2	გარემოსდაცვითი ღონისძიებები	- აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ჩართვა გარემოსდაცვით ღონისძიებებში - გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	ჩატარებული ღონისძიებები
6.3	ჯანმრთელობის დაცვითი ღონისძიებები	- აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობის მხარდაჭერა პოპულაციის დონეზე ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში - მულტიკულტურული საზოგადოების ინტერესებზე მორგებული სამედიცინო საქმიანობის ხელშეწყობა ღონისძიებებში მონაწილეობა.	ჩატარებული ღონისძიებები
6.4	სოციალური და საქველმოქმედო აქტივობები	- სოციალური პროექტების დაფინანსება - საქველმოქმედო ღონისძიებში პერსონალის და სტუდენტების ჩართვის ხელშეწყობა	- ჩატარებული ღონისძიებები - დაფინანსებული პროექტები

6. სტრატეგიული განვითარების მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიული განვითარების გეგმის და სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმის მიმდინარეობა მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას ექვემდებარება.

უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შეიქმნება სამუშაო ჯგუფი უნივერსიტეტის მაღალი მმართველობითი რგოლებიდან. სტრატეგიული განვითარების მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი საერთაშორისო ურთიერთობის, სტრატეგიული განვითარებისა და ადამიანური რესურსების სამსახურთან კოორდინირებით მუდმივ მონიტორინგს გაუწევს სტრატეგიული დოკუმენტის შესრულების პროცესის მიმდინარეობას, შეიმუშავებს კონკრეტულ სამოქმედო გეგმას და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობისაგან მოისმენს ანგარიშებს.

მონიტორინგის პროცესში მოხდება სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციის თანამშრომლების, დამსაქმებლების და პარტნიორი ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა სტრატეგიასთან დაკავშირებული საჭმიანობის შესაფასებლად. აღნიშნულ გამოკითხვას ჩაატარებს საერთაშორისო ურთიერთობის, სტრატეგიული განვითარებისა და ადამიანური რესურსების სამსახური.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების სამუშაო ჯგუფი ყოველწლიურად შეაფასებს სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესს, ხოლო სამ წელიწადში ერთხელ შეაფასებს სტრატეგიული დოკუმენტის შინაარსს, შეიმუშავებს წინადადებებს გასაუმჯობესებელი ცვლილებების განსახორციელებლად და მოამზადებს ანგარიშს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

ანგარიშში უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) შეფასების პერიოდი;
- ბ) შეფასების მონაწილე პირები;

- გ) შესწავლილი დოკუმენტაცია;
- ე) სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმით დაგეგმილი ღონისძიებები;
- ვ) უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული მოქმედებები სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით;
- ზ) სამუშაო ჯგუფის შეფასება;
- თ) განვითარების შესაძლებლობები.

შედგენილი დოკუმენტი წარედგინება აკადემიურ საბჭოს და უნივერსიტეტის რექტორს.

7. სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა 2021-2023

იხ. სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა **დანართი 1.**